



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პროფესიული კოლეჯი
„განთიადი“-ს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 10

16 მარტი 2017 წელი

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯ „განთიადში“ პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - პროფესიული კოლეჯ „განთიადის“ წესდების მე-3 მუხლის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯ „განთიადში“ პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ „განთიადის“ სსქმის მწარმოებელს, მარინე ამბრიაშვილს, წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული პირველადი დახმარების აღმოჩენის წესის განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გორის რაიონულ სასამართლოში (ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. #30).

დირექტორი



ანა დათუაშვილი

**ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯ „განთიადში“ პირველადი დახმარების
აღმოჩენის წესი**

1. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯ „განთიადში“ (შემდგომში - „კოლეჯი“) პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებული ადამიანური რესურსისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით იქმნება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტი, სადაც შესაძლებელია პროფესიული სტუდენტებისა და კოლეჯში დასაქმებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელია მედდა.

2. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტში განთავსებულია პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები, მოწყობილია მედდის მიერ ავადმყოფის მიღების საშუალებები, კაბინეტი უზრუნველყოფილია კომუნიკაციებით (ტელეფონი).

3. კოლეჯი ვალდებულია მედდის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტის პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით პერიოდულად მომარაგება.

4. კოლეჯი და თავად მედდა იღებენ ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე; ამისათვის მუდმივად მიმდინარეობს არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ, მათი გამოყენება.

5. მედდა ავადმყოფის პირველადი გასინჯვის საფუძველზე უფლებამოსილია:

ა) თავად აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება;

ბ) გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (112) და ფაქტის შესახებ მოახდინოს პროფესიული სტუდენტის ოჯახის წევრის ინფორმირება;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, საჭიროებისას, გაათავისუფლოს სტუდენტი მეცადინეობებიდან.

6. თუ პროფესიული სტუდენტი ან კოლეჯის თანამშრომელი ვერ ახერხებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტში დამოუკიდებლად მისვლას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მედდას, საჭიროების შემთხვევაში დარაჯი ვალდებულია მიიყვანონ ეს პიროვნება სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კაბინეტთან.

7. თუ პროფესიული სტუდენტის ან თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე ეჭვქვეშ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მედდას, რომელიც ვალდებულია ადგილზე გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება შეუძლოთ მყოფ პირს;

8. მედდა ვალდებულია აწარმოოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების რეგისტრაცია, შეისწავლოს მათი სამედიცინო ისტორია, უზრუნველყოს მათთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტების შესყიდვა, პროფესიული სტუდენტის ოჯახის წევრების საკონტაქტო

ინფორმაციის განახლება, პერიოდულად გააკონტროლოს სწავლის პროცესში ამ კატეგორიის პროფესიული სტუდენტების ადაპტირების პრობები;

9. მედდა უფლებამოსილია განახორციელოს მონიტორინგი კოლექტის სველი წერტილების ჰიგიენურ მდგომარეობაზე, აგრეთვე კოლექტის შენობისა და ეზოს დასუფთავებაზე, შეიმუშაოს წინადადებები და წარუდგინოს დირექტორს.